გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის -
ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის
სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ასარჩევად კონკურსის
გამოცხადების შესახებ

1. ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, თსუ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - *ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის* დებულების შესაბამისად, ღია კონკურსის საფუძველზე ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს ინსტიტუტის დირექტორი.

2. ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელად შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უვადო ან ვადიანი მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს, რაც გათვალისწინებულია თსუ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 31 მაისის N63/2017 დადგენილებით მიღებული და წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 23 ივნისის N3 სხდომის ოქმით დამტკიცებული ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესი“-თ და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობების მე-2 მუხლითა და ,,საკონკურსო თანამდებობებისათვის განსაზღვრული კრიტერიუმები ინსტიტუტების და სამეცნიერო თანამდებობების მიხედვით“ მე-16 მუხლის პირველი პუნქტით, ასევე მე-2 პუნქტის ,,ა“, ,,ბ“ ან ,,გ“ ქვეპუნქტებით.

3. კონკურსი ცხადდება შემდეგი სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელების თანამდებობის დასაკავებლად:

ფუნქციონალური ანალიზის და გამოყენებების განყოფილება (1 საშტატო ერთეული, დამატებითი მოთხოვნა - უფროსი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილება)

საინჟინრო და ფიზიკური ამოცანების განყოფილება (1 საშტატო ერთეული, დამატებითი მოთხოვნა - უფროსი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილება)

4. კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს:

4.1. უფროსი მეცნიერი თანამშრომლისადმი წაყენებულ **ძირითად მოთხოვნებს**, რაც მდგომარეობს შემდეგში: უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – დოქტორის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება (რაც გულისხმობს არამხოლოდ სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო ან სხვა პროფილურ დაწესებულებაში სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობას, არამედ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებსაც) და უნდა ჰქონდეს გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის

არანაკლებ 2 რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის და საკონკურსოდ გამოცხადებული ვაკანსიის პროფილის მიხედვით.

4.2. თსუ ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სპეციფიკიდან გამომდინარე **დამატებით მოთხოვნებს**, რაც მდგომარეობს შემდეგში:

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - მისი ხელმძღვანელობით დაცული დისერტაციები ან ბოლო 5 წელიწადში 5 პუბლიკაცია სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტის ამსახველი ცხრილის პირველი სამი პუნქტით გათვალისწინებული სახეობების შესაბამისად.

4.3. კანდიდატს უნდა ჰქონდეს სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობის (მენეჯმენტის), მაგალითად, საერთაშორისო ან ადგილობრივი სამეცნიერო ფორუმების საორგანიზაციო ან სამეცნიერო კომიტეტებში მუშაობის გამოცდილება.

5. კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სახელზე. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს დაინტერესებული პირის ვინაობა, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი, თანამდებობა, რომლის დასაკავებლად მონაწილეობს კონკურსში;

ბ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის სურათიანი გვერდის ასლი;

გ) ცნობა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის შესახებ“;

დ) ავტობიოგრაფია (CV), სამეცნიერო პუბლიკაციების ნუსხითურთ, შედგენილი კონკურსანტისათვის მისაღები ფორმით მისი მოღვაწეობის სრულად ასასახავად (ავტობიოგრაფია წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CD) სახით, ფაილის ფორმატი – Word და PDF სახით);

ე) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ასლი;

ვ) სამსახურეობრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (მაგალითად, ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვ.);

ზ) სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

თ) თსუ ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დებულებიდან გამომდინარე განყოფილების წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრისა და ფუნქციების შესრულების მისეული ხედვა.

ი) კონკურსის გამოცხადების ბრძანებით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

შენიშვნა. კონკურსში მონაწილეობის შესახებ ვადის დარღვევით (განცხადებების მიღების ვადის გასვლის შემდგომ) წარდგენილი განცხადება (დოკუმენტაცია) მიღებასა და რეგისტრაციას არ ექვემდებარება.

6. კონკურსი გამოცხადდეს 2025 წლის 23 მაისს, საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება განხორციელდეს 2025 წლის 25 ივნისიდან 2025 წლის 1 ივლისის ჩათვლით, 11:00 საათიდან 17:00 საათამდე, ინსტიტუტის შენობაში შემდეგ მისამართზე: თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა №11, ოთახი №202. სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმი, რომელშიც ასახული იქნება ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის არჩევის შედეგები, ინსტიტუტის დირექტორის მიერ დამტკიცდეს და გაეგზავნოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შემდგომი რეაგირებისათვის არაუგვიანეს 2025 წლის 22 ივლისისა.

7. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე არჩეული პირი ითვლება არჩეულად 7 წლის ვადით.